

მხატვრული ქსოვა



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა:

მხატვრული ქსოვილები/Artistic Fabrics

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 02126-პ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში / Basic Vocational n Qualification in Artistic Knitting, სპეციალიზაციის კოდი 080659.

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი 0214, აღმწერი - „შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს“.

მიზანი:

პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მხატვრული ქსოვის მიმართულებით.

დაშვების წინაპირობა:

- საბაზო განათლება

პროგრამის ხანგრძლივობა დროში:

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 59 კვირა;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 69 კვირა;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

მხატვრული ქსოვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნართის მღებავად, ხალიჩის მქსოველად, ფარდაგის მქსოველად, გობელენის მქსოველად, ტრიკოტაჟული ნაწარმის მქსოველად. პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო, ისე მცირე საწარმოში, სამხატვრო სალონებში დარგის სპეციალისტად. ასევე შეუძლია დააფუძნოს სახელოსნო-სტუდია და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 13.1; 13.2; 13.20; 13.20.0; 13.3; 13.30; 13.30.0; 13.9; 13.91; 13.91.0; 13.93; 13.93.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7318.

სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 7 ზოგად მოდულს 18 ჯამური კრედიტის რაოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს 20 კრედიტის რაოდენობით და 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 37 კრედიტის რაოდენობით. მხატვრულ ქსოვაში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 75 კრედიტი.

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 75 კრედიტი
- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 75 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 59 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 90 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 69 კვირა

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 1	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	სამოქალაქო განათლება	2
6.	უცხოური ენა	4
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
	ჯამი:	18
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
	გაცნობითი პრაქტიკა - მხატვრული ქსოვილები	2
	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
	საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები	2
	საფეიქრო მასალის ღებვა	4
	ქსოვილის მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, დაჩითვა)	8
	ჯამი:	20
მხატვრული ქსოვის პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ფარდაგის ქსოვა 2	6
2.	ხალიჩის ქსოვა 2	7

3.	გობელენის ქსოვა 2	7
4.	ყაისნალითა და ჩხირებით ქსოვა 2	7
5.	მხატვრული ტრიკოტაჟის ქსოვა 2	5
6.	პრაქტიკული პროექტი - მხატვრული ნაქსოვის შესრულება	5
	ჯამი:	37
	სულ:	75

სტუდენტის შეფასების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები:

- 1) სტუდენტის შეფასების წესი - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი მუხლი 10.
- 2) კვალიფიკაციის მინიჭების პირობები - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი მუხლი 14.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებები:

- ✚ ქალაქ თბილისის აპოლო ქუთათელაძის სამხატვრო აკადემია გობელენისა და მხატვრული ტექსტილის მუზეუმი.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ესკიზი;
2. მოქსოვოს ფარდაგი;
3. მოქსოვოს ხალიჩა;
4. მოქსოვოს გობელენი;
5. მოქსოვოს ყაისნალით;
6. მოქსოვოს ჩხირებით;
7. მოქსოვოს მხატვრული ტრიკოტაჟის ნაწარმი.

პროგრამის დასრულების შემდგომ გასაცემი დოკუმენტი

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი დანართთან ერთად.